6756
საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი, 1942 წ. № 239 (6555). ფასი 15 კაპ.

სწორად მოვაწყოთ შრომა კოლმეურნეობებში

საქართველოს სოციალისტურ მინდვრებზე ფართოდ არის გაჩაღებული სასოფლო - სამეურნეო კულტურების მოსავლის აღება. საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები უხვ სამხედრო მოსავალს იღებენ. საკოლმეურნეო სოფლის მუშაკთა საბრძოლო ამოცანა ახლა ის არის, რომ წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელი, მთლიანად და გადამეტებით შეასრულონ სახელმწიფო ვალდებულებანი, სწორად და დროულად გაანაწილონ საკოლმეურნეო მოსავალი და შემოსავალი და ამასთან ერთად ამთავითვე ომიანობის დროის შესაფერისად მოემზადონ 1943 წელს მაღალი მოსავლის მიღებისათვის. კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა წმიდათა-წმიდა ვალია სასოფლო - სამეურნეო სამუშაოებში უზრუნველჰყონ ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნის მონაწილეობა, რაც შეიძლება უფრო მაღალნაყოფიერად გამოიყენონ თითოეული მომუშავის შრომა. ახალ წარმატებათა მოპოვებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომის სწორ ორგანიზაციას კოლმეურნეობებში, მტკიცე დისციპლინის დანერგვას. რკინისებური დისციპლინა ყველა უბანზე ომიანობის დროის კანონია და იგი მთელი შეუპოვრობით უნდა დავიცვათ.

საკოლმეურნეო მინდვრებში სანარდო მუშაობის ორი ფორმა არის ცნობილი—ჯგუფური და ინდივიდუალური. ჯგუფური სანარდო სისტემა უმთავრესად გამოიყენება იმ სამუშაოებზე, სადაც კოლმეურნეები შეერთებული ძალით უწევენ მომსახურებას ერთ რომელიმე აგრეგატს.

ინდივიდუალური სანარდო მუშაობისას თვალსაჩინოდ აღირიცხება კოლმეურნის დღიური ნამუშევარი და მის უნარზეა დამოკიდებული დღიური ნორმის შესრულება. ეს სისტემა, რომელმაც სავსებით გამართლა თავისი თავი, საჭიროა ფართოდ, გაბედულად დავნერგოთ საკოლმეურნეო წარმოებაში. იქ, სადაც ინდივიდუალურ სანარდო სისტემას სერიოზულ ყურადღებას აქცევენ, გამომუშავების ნორმებს კოლმეურნეები დიდი გადამეტებით ასრულებენ და შრომის ნაყოფიერება თვალსაჩინოდ დიდდება. მაგალითად, თელავის რაიონის სოფ. ლეჩურის კოლმეურნეობა „წითელი ფშაველის" წევრმა ანიკო თეთრაულმა დღეში 2.500 კვადრატული მეტრი პური მომკო, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებულ 700 კვ. მეტრისა, ინდივიდუალური სანარდო მუშაობის გამოყენებით ამ კოლმეურნეობის წევრები ნიკო ბურდიაშვილი, ივანე ბადრიშვილი ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ყვარლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ქრისტინე ლონიაშვილი წელს მკიდა დღეში 2.500 კვ. მეტრ პურს, ნაცვლად 1.000 კვ. მეტრისა. მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი ლიუდი ხურციძე დღეში საშუალოდ 100 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფდა, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 15 კილოგრამისა. შრომის ასე მოწყობამ კოლმეურნეებს საშუალება მისცა ომიანობის შესაფერისად გაედიდებინათ შრომის ნაყოფიერება.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა მტკიცედ უნდა გაითვალისწინონ, რომ ისეთ სამუშაოებზე, როგორიცაა ხვნა, თესვა, ფარცხვა, თოხნა, მკა, თიბვა და სხვ., ინდივიდუალური სანარდო მუშაობის დანერგვა იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა კოლმეურნემ ყოველდღიურად მთლიანად და გადამეტებით შეასრულოს გამომუშავების ნორმები.

მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელნი უგულებელჰყოფენ სანარდო სისტემას და არ იყენებენ იმ სამუშაოებში, სადაც მისი გამოყენება, არა თუ სასურველია, არამედ სავალდებულოა.

თიანეთის რაიონის სოფ. საყდრიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნეებს სიმინდის თოხნაზე, მკაზე, თიბვაზე შრომადღეები თანაბრად დაუწერეს. ამ რაიონის სოფ. ხევისუბნის კოლმეურნეობა „ჯეჯილის" 17 კოლმეურნეს სიმინდის თოხნაზე შრომადღეები ყველას თანაბრად დაარიცხეს. ლანჩხუთის რაიონის სოფ. აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გარდა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა, თითქმის ყველა სხვა სამუშაოს ჯგუფური სისტემით აწარმოებდნენ.

გათანაბრების არსებობა ცალკეულ კოლმეურნეობებში წარმოადგენს ძირითად დაბრკოლებას შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის და იგი ძირშივე უნდა აღვკვეთოთ.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგი **ა. ანდრეევი** ამბობდა: „შრომა კოლმეურნეობებში რაც უფრო მეტად არის ინდივიდუალიზებული რგოლების სახით ან ცალკეულ კოლმეურნეთა სახით, რაც უფრო მეტად წახალისებულია მატერიალურად მათი შრომა, მით უფრო ნაყოფიერია იგი როგორც მოსავლის, ისე მეცხოველეობის დარგშიც".

კოლმეურნეობებში შრომის სწორად ანაზღაურებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა, არამედ ბრიგადების, რგოლებისა და ცალკეული კოლმეურნეების მიერ მოსავლის შედეგების მისაღწევად გაწეული შრომის ხარისხიც.

საჭიროა განუხრელად, მთელი სიზუსტით განვახორციელოთ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

საკოლმეურნეო მინდვრებზე შრომის სწორი ორგანიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღრიცხვის სანიმუშოდ დაყენებას. სწორად დაყენებული აღრიცხვის გარეშე შეუძლებელია მეურნეობის წარმოება. ამას წინათ პენზის ოლქის ქ. სერდობსკის ბუჰჰალტრებმა იკისრეს დაეხმარონ მახლობელ კოლმეურნეობებს შრომის აღრიცხვაში და მოუწოდეს რაიონული ცენტრებისა და ქალაქების ყველა ბუჰჰალტრებს ჩაბან სოცშეჯიბრებაში აღრიცხვის მოწესრიგების ხაზით კოლმეურნეობებისათვის დახმარების გასაწევად.

საქართველოს აღრიცხვის დარგის მუშაკთა ვალია საქმით გამოეხმაურონ ამ პატრიოტულ მოწოდებას და აქტიურად დაეხმარონ კოლმეურნეობებს აღრიცხვის უკეთ მოწყობაში.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფელში ფართოდ გაჩაღდა წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრება. ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ საკოლმეურნეო სოფლის წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშა, სწორად მოვაწყოთ შრომა, აღრიცხვა, კიდევ უფრო განვამტკიცოთ დისციპლინა და გაბედულად დავნერგოთ ინდივიდუალური სანარდო მუშაობა კოლმეურნეობებში. რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სამიწათმოქმედო ორგანოების, მტს-ებისა და პოლიტგანყოფილებათა მოვალეობაა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობებს ამ საქმეში.

საკოლმეურნეო წარმოებაში შრომის ომიანობის შესაფერისად მოწყობით მოსავალი ავიღოთ დროულად, უდანაკარგოდ—ეს იქნება კოლმეურნეთა მძლავრი დახმარება ჩვენი სახელოვანი წითელი არმიისადმი, რომელიც გმირულად ებრძვის და ანადგურებს უბოროტეს მტერს — პირსისხლიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს.

თავდაცვის სახალხო კომისარიატში

I.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამშობლოსათვის ბრძოლებში მამაცობის გამოჩენისათვის, სიმტკიცისა, ვაჟკაცობისა, დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის, პირადი შემადგენლობის გმირობისათვის 201-ე ლატვიელთა ქვეითი მსროლელი დივიზია გარდაქმნილია გვარდიის 43-ე ლატვიელთა მსროლელ დივიზიად.

დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი იან იანის-ძე **ვეიკინი.**

გარდაქმნილ დივიზიას გადაეცემა გვარდიის დროშა.

II.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამშობლოსათვის ბრძოლებში მამაცობის გამოჩენისათვის, სიმტკიცისა, ვაჟკაცობისა, დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის, პირადი შემადგენლობის გმირობისათვის მე-5 წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია გარდაქმნილია გვარდიის 44-ე წითელდროშოვან მსროლელ დივიზიად.

დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი დიმიტრი ანდრიას-ძე **კუპრიანოვი.**

გარდაქმნილ დივიზიას გადაეცემა გვარდიის დროშა.

* * *

წითელი არმიის პოლიტიკური შემადგენლობისათვის სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ

თავდაცვის სახალხო კომისარმა მიანიჭა სამხედრო წოდება

დივიზიის კომისარი:

პავლე ფილატეს-ძე **ივანოვს,**
პავლე ივანეს-ძე **კრაინოვს,**
კირილე პანკრატეს-ძე **კულიკს,**
გენადი ნიკოლოზის-ძე **კუპრიანოვს,**
ივანე პროკოფის-ძე **კონოვს,**
ივანე ალექსის-ძე **ორლოვს,**
მიხეილ ვასილის-ძე **რუდაკოვს,**
ალექსანდრე გიორგის-ძე **რუსკიხს,**
ვლადიმერ ვასილის-ძე **სოსნოვიკოვს.**

სსრ კავშირის მედლებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებული არიან:

მედლით „მამაცობისათვის":

1. წითელარმიელი ივანე კონსტანტინეს-ძე **გუმბარიძე**
2. უფროსი სამხედრო ფერშალი ჯური იასონის-ძე **კვირჩილაძე**
3. წითელარმიელი ვასილ ალექსანდრეს-ძე **კუტარაშვილი**
4. წითელარმიელი ავერიონ გერასიმეს-ძე **კუხალეიშვილი**
5. იოსებ სელივანის-ძე **ვაშაკიძე.**

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის":

1. წითელარმიელი ვასილ დიმიტრის-ძე **სტეფნაძე**
2. პოლიტხელის მოადგილე კარლო გიორგის-ძე **ჩხარტიშვილი**
3. გვარდიის წითელარმიელი სპირიდონ დავითის-ძე **მაისაშვილი.**

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

7 ოქტომბრის დილის ცნობა

6 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში და **მოზდოკის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. მტერი თავს უყრის ახალ ძალებს და მოყვანისთანავე აბამს მათ ბრძოლაში. გერმანელთა ერთმა ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა 11 ტანკის დახმარებით ექვსჯერ მოიტანა იერიში პოზიციებზე, რომლებსაც 6 ნაწილი იცავს. მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოგერიებულია. ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 5 ტანკი და ერთ ასეულამდე ჰიტლერელი. სხვა უბანზე ჩვენი არტილერიის ცეცხლით დაზიანებულია გერმანელთა 3 ტანკი, მოსპობილია 2 ნაღმსატყორცნი ბატარია და მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ერთ უბანზე ჩვენი ნაწილები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ და თავიანთი პოზიციები გაიუმჯობესეს. სხვა უბნებზე ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის კონტრიერიშებს იგერიებდნენ. ჰიტლერელებმა ათჯერ მოიტანეს იერიში მაღლობზე, რომელსაც ერთი ჩვენი ნაწილის მებრძოლები იცავენ. ამ ბრძოლაში მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 800-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მარტო მოკლულთა სახით, 27 ტყვიამფრქვევი და 4 ნაღმსატყორცნი. ქვეითი ჯარის იარაღის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 3 თვითმფრინავი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 2 ქვემეხი, ავტომატები, შაშხანები და საომარი მასალა.

* * *

მოზდოკის რაიონში ჩვენი ნაწილები იგერიებდნენ მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის იერიშებს. ჯავშანმტერეველმა ამხ. სუვოროვმა გერმანელთა 2 ტანკი დააზიანა, ლეიტენანტმა რილკომ ტანკსაწინააღმდეგო თოფით მოწინააღმდეგის 3 ტანკი მოსპო. სულ დღე-ღამის განმავლობაში 6 ნაწილის მებრძოლებმა დააზიანეს და დასწვეს გერმანელთა 7 ტანკი და გაჟლიტეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი.

* * *

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ ბრძოლაში გამოიყვანა ქვეითი დივიზია, რომელიც ეს-ეს არის ფრონტზე ჩამოვიდა, და ორჯერ მოიტანა იერიში ერთ მაღლობზე. ჩვენმა ჯარებმა ჰიტლერელთა ყველა იერიში მოიგერიეს. დიდი ტაქტიკური მნიშვნელობის მქონე ამ მაღლობის მისადგომებზე გამართულ ბრძოლაში მტერმა 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 5 ნაღმსატყორცნი, 11 ტყვიამფრქვევი და საომარი მასალა. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

მოკლულ გერმანელ ფელდფებელს გეორგ შუსტერს აღმოაჩნდა წერილი, რომელიც ცოლისათვის დიუსელდორფში უნდა გაეგზავნა. წერილში ნათქვამია: „მხოლოდ სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ვახერხებთ მცირეოდენად წინწაწევას. ახლა უდიდესი მსხვერპლის ფასად გვიხდება რუსების ყოველი მეტრი მიწის დაკავება. ახლანდელი ბრძოლების გააფთრება აუწერელია. ჯარისკაცები, რომლებიც რუსეთში შარშანდლიდან ომობენ, ამბობენ, რომ ასეთი სიძნელეები, როგორც ახლაა, ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა. რუსები ხშირად იძულებულს გვხდიან ხელჩართულ ბრძოლაში გავყვეთ. გუშინ ჩვენმა ასეულმა 46 კაცი დაჰკარგა... ჩვენი ნერვები ვეღარ უძლებს. ეს საკვირველი არ არის. ყოველდღე მხოლოდ ზარალი და ზარალი მოგვდის..."

* * *

ქვემოთ ქვეყნდება ვაისენფელსიდან იოჰანა რობეს მიერ გერმანელ ჯარისკაც ჰაინცისადმი გამოგზავნილი წერილი: „ახლა ჩვენში ბევრი რუსი მამაკაცი, ქალი და ბავშვი მუშაობს. მათ საშინლად ვძულვართ ჩვენ და ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში გარბიან. ორი კვირის წინათ ბატონმა კუშტბახმა ორი რუსი დაიჭირა ვინბერგერში. ფრაიბურგის მახლობლად ერთი მეტყევე ცდილობდა დაეკავებინა ბანაკიდან გაქცეული რამდენიმე რუსი, მაგრამ მათ წინააღმდეგობა გასწიეს. ამ კვირაში ჩვენმა ვახმისტრმა სოფელში დაიჭირა ორი რუსი ქალიშვილი, რომლებიც მამულიდან გაქცეულიყვნენ. ისინი რეზინის ხელკეტებით გაჯოხეს".

* * *

ხირტენზერგში (ავსტრია) საომარი მასალის ქარხანაში გერმანელმა მიმღებებმა დაიწუნეს საარტილერიო ყუმბარების დიდი პარტია. ამის გამო პოლიციამ დააპატიმრა მუშათა ჯგუფი. დახვრეტის მუქარის მიუხედავად არც ერთმა მუშამ არ ჩაუგდო ხელში პოლიციას ის პირნი, რომლებმაც ყუმბარები გააფუჭეს. ავსტრიის სხვა სამხედრო ქარხანაში უცნობმა პირებმა დიდძალი დენთი გააფუჭეს.

7 ოქტომბრის საღამოს ცნობა

7 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში და **მოზდოკის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

6 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპო გერმანელთა 5 ტანკი, 60-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 4 ავტოცისტერნი საწვავიანად, ააფეთქა საომარ მასალათა საწყობი, ჩააქრო 17 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, დაამსხვრია რკინიგზის 2 შემადგენლობა, გაფანტა და ნაწილობრივ გაჟლიტა მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის რაიონში გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის ყველა იერიში მოგერიებულია მტრისათვის დიდი ზარალის მიყენებით. ჩვენი ნაწილები წინანდელ პოზიციებს ინარჩუნებენ. დღის განმავლობაში გაჟლეტილია 800-მდე ჰიტლერელი, მოსპობილია გერმანელთა 19 ტანკი, 18 ავტომანქანა, 5 ქვემეხი და 6 ნაღმსატყორცნი ბატარია.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ცალკეულ უბნებზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად. მებრძოლებმა ლეიტენანტ ორლოვის მეთაურობით მტრის იერიში მოიგერიეს. ჩვენმა მებრძოლებმა ახლო მანძილზე მოუშვეს ჰიტლერელები და თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჟლიტეს 150-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა მტრის ტანკებისა და მეავტომატეთა 4 იერიში მოიგერიეს. ამ ბრძოლაში მოსპობილია გერმანელთა 2 ტანკი, ჯავშნიანი მანქანა და 100-მდე ჰიტლერელი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 2 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 10 ტყვიამფრქვევი, 5 ნაღმსატყორცნი, რადიოსადგური და სხვა სამხედრო ქონება.

* * *

მოზდოკის რაიონში ჩვენი ნაწილები შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ტანკებთან და მოტოქვეით ჯართან. ერთ უბანზე გერმანელთა 12 ტანკმა მოახერხა ლეიტენანტ გერმანის ქვეგანაყოფის ზურგში შეჭრილიყო. ქვეგანაყოფის მებრძოლებმა ტანკსაწინააღმდეგო თოფების ცეცხლით დააზიანეს და დასწვეს გერმანელთა 11 ტანკი და გაჟლიტეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა გააფთრებული ბრძოლების შემდეგ თავდაცვის ახალ ზღუდეზე გადმოინაცვლეს.

* * *

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერმა ბრძოლაში გამოიყვანა ფრონტზე მოსული რუმინელთა ქვეითი დივიზია. ორი დღის საბრძოლო მოქმედების განმავლობაში ჩვენმა ნაწილებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს ამ დივიზიას. რუმინელთა ორი ბატალიონი გარშემორტყმული და მოსპობილია. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 3 ქვემეხი, 8 ტყვიამფრქვევი, დიდძალი შაშხანა, ნაღმები, გრანატები და ვაზნები.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენი ნაწილები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს, რომელიც გვიტევდა ორ პოლკამდე ძალებით, ტანკებისა და ავიაციის დახმარებით. დღის განმავლობაში მოგერიებულია ჰიტლერელთა 4 იერიში. ამ ბრძოლებში მოსპობილია მტრის 800-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი და დაზიანებულია გერმანელთა 8 ტანკი.

* * *

სტალინგრადის დამცველები თავიანთი გმირული ბრძოლით სისხლისაგან სცლიან გერმანელთა დივიზიებს. გერმანელთა მე-16 სატანკო დივიზიის 79-ე მოტომსროლელი პოლკის ტყვე ჯარისკაცებმა ჰერბერტ ფიშერმა და გეორგ ფიხტერმა განაცხადეს: „79-ე პოლკმა მძიმე ზარალი განიცადა. მესამე ასეული გაშლილია. დიდ ზარალთან დაკავშირებით სარდლობამ ბრძოლაში გამოიყვანა დივიზიის შტაბის საყარაულო ოცეული, შტაბის ზურგის დაცვის რაზმი და საველე ჟანდარმერიის ოცეული".

ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს გერმანელთა 76-ე ქვეითი დივიზია. ამ დივიზიის ტყვე ჯარისკაცმა განაცხადა: „203-ე პოლკში სულ ბევრი 80 კაცი დარჩა". 203-ე პოლკის ტყვე ჯარისკაცმა აჩვენა, რომ მისი პოლკის მე-7 ასეულში 12 კაცი დარჩა, ხოლო მე-5 ასეულში სულ 5 ჯარისკაცი.

გერმანელთა მე-16 სატანკო დივიზიის ტყვე ჯარისკაცებმა ჰანს გრაფემ, ლორენც ჰაიფრენმა, ჰელმუტ ლიშმა და სხვებმა გვაცნობეს შემდეგი: „ჩვენ მწყობრის წინ წაგვიკითხეს ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ როცა რუსების ტანკები შეტევაზე გადმოვიდნენ, ჩვენი დივიზიის 64-ე მოტომსროლელი პოლკის მე-7 ასეულმა უარი სთქვა პოზიციების დაცვაზე და სარდლობის ბრძანების მიუღებლად დაიხია უკან. ბრძანებაში გამოცხადებულია, რომ უკან დახეულ ჯარისკაცთა დიდი ჯგუფი დახვრიტეს, ხოლო სხვებს მისჯილი აქვთ პატიმრობა".

* * *

თეთრფინელთა ტყვეობას თავდაღწეულმა წითელარმიელმა სერგი პაველის-ძე ტერენტიევმა გვიამბო იმ საბჭოთა სამხედრო ტყვეების აუტანელი წამების შესახებ, რომელნიც ქალაქ პიტკიარანტის მახლობლად არსებულ ბანაკში იტანჯებიან. „ამ ბანაკში,—სთქვა ტერენტიევმა,—დაჭრილი წითელარმიელები ჰყავთ. მათ არავითარ სამედიცინო დახმარებას არ უწევენ. ყველა ტყვეს აიძულებენ დღე-ღამეში 14-16 საათს იმუშაონ. ტყვეებს გუთნებში აბამენ და მიწას ახვნევინებენ. დღე-ღამეში თითო ფინჯან ფქვილის შეჭამანდს გვაძლევდნენ. ფინელმა ჯალათებმა საშინელი წამება მოიგონეს ჩვენთვის. ისინი ტყვეს წელზე შემოარტყამდნენ ეკლიან მავთულს და მიწაზე მიათრევდნენ. ბანაკიდან ყოველდღე გააქვთ წამებით დახოცილ საბჭოთა მებრძოლების გვამები".

ბრძოლები სტალინგრადისათვის

მოქმედი არმია, 7 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ამ უკანასკნელი ორი-სამი დღის განმავლობაში გერმანელთა იერიშები არ შენელებულა. იმ ქვეგანაყოფის წინააღმდეგ, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ განაპირა უბანს იცავს, გერმანელთა სარდლობამ დაძრა 3 ქვეით დივიზიამდე და 100 ტანკი. ფაშისტთა ბომბდამშენები ქალაქზე პიკირებდნენ და ასობით ბომბს აყრიდნენ საცხოვრებელ უბნებს.

ჩვენმა ნაწილებმა ფაშისტთა დივიზიების იერიშები მოიგერიეს და კონტრიერიშზე გადავიდნენ. დარტყმა იმდენად უეცარი და ძლიერი იყო, რომ გერმანელები გაიქცნენ და მარტო ერთ უბანზე დასტოვეს 1.000-ზე მეტი მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი. რაც უფრო ძლიერია წინააღმდეგობის გაწევა, რაც უფრო ფიცხელია ჩვენი კონტრიერიშები, მით უფრო შესამჩნევად ჰქრება ფაშისტ ჯარისკაცთა „მეომრული აღგზნება". ჩვენს ფრონტზე გერმანელი ოფიცრები გაძლიერებულ ბრძოლას ეწევიან ეგრეთწოდებულ „ცუდ წინაგრძნობებთან", რაც გავრცელებულია მოწინააღმდეგის ჯარისკაცთა გარკვეულ ნაწილში. სტალინგრადის ხელში ჩაგდების ყველა ვადამ, რომლებიც ნავარაუდევი იყო გერმანელთა სარდლობის მიერ, განვლო, და აი გერმანელი ოფიცრები ზედიზედ თხზავენ ფაშისტთა გეგმების ჩაფუშვის მიზეზებს. თურმე ჰიტლერელთა გეგმებს „ველის არაჩვეულებრივი ძნელი პირობები" ფუშავენ.

გერმანელმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა იმედი დაჰკარგეს, რომ მალე დაეცემა სტალინგრადი, რომელსაც გერმანიის პროპაგანდა ომის ბედის გადაწყვეტას უკავშირებს, და მომავალ ზამთარსა და მასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე ალაპარაკდნენ. აი რას აცხადებს ტყვე გერმანელი ჯარისკაცი იოჰან ფლინტი: „ჩვენი ასეულის ჯარისკაცები ხშირად ლაპარაკობენ ერთმანეთში, რომ გერმანია ომს წააგებს, ვინაიდან ფრონტი დიდია, ხოლო ძალები გერმანიას ახლა, გაცილებით ნაკლები ჰყავს. ჯარისკაცებს მეტად ეშინიათ ზამთრისა. მომავალი ზამთარი შესაძლოა გერმანიისათვის დამღუპველი იქნეს".

„ჩვენ დარწმუნებული ვიყავით,—ამბობს ტყვე ჯარისკაცი ფრინდტი,—რომ ზაფხულის შეტევა გაგრძელდებოდა და სტალინგრადი მალე უნდა დაცემულიყო. მთელი რიგი მარცხის შემდეგ ჩვენმა ჯარისკაცებმა ჩივილი დაიწყეს იმის გამო, რომ რუსებთან ომი მეტად მძიმეა. თუ სტალინგრადთან და შემდეგაც რუსებმა ასეთივე წინააღმდეგობა გაგვიწიეს, ისინი გაიმარჯვებენ და ყველაფერი დაილუპება".

გერმანელთა სარდლობა დაიმედებითა და დაპირებებით ცდილობს გაამხნეოს თავისი ჯარისკაცები, მაგრამ თუ ერთი თვის-თვენახევრის წინათ ჰიტლერელი ოფიცრები ჯარისკაცებს არწმუნებდნენ, სტალინგრადის დაპყრობის შემდეგ ომი დამთავრდება და დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა დადგება, ახლა ამაზე კრინტსაც აღარ ძრავენ.

ცნობები სტალინგრადთან გერმანელთა უდიდესი ზარალის შესახებ გერმანიის ზურგშიც აღწევენ. „იქ ხომ ბრძოლები კი არა, საშინელი ჟლეტაა",—შეშფოთებით სწერს ვილი ბროერს მისი ცოლი.

ამას წინათ სტალინგრადთან გააფთრებული ბრძოლების დროს ტყვედ წამოყვანილ იქნა გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფი, რომელთა შორის აღმოჩნდნენ ჯარისკაცები და უნტერ-ოფიცრები ერნსტ გაზე, გეორგ გლაიმი, ფრიც ოშკე და სხვები. ერნსტ გაზემ განაცხადა:

„დიდი ზარალის გამო ჯარისკაცთა შორის მეტად მძიმე სულიერი განწყობილებაა. ჩემი ასეულის ჯარისკაცები ერთმანეთს ფარულად ეუბნებიან, რომ ამ უკანასკნელ ბრძოლებში უამრავი თვითდაჭრა მოხდა".

ბ. მარკოვსკი

აკადემიკოს ი. პ. პავლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

29 სექტემბერს ლენინგრადში დამთავრა მუშაობა აკადემიკოს ი. პ. პავლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილმა სამეცნიერო სესიამ. ექსპერიმენტული მედიცინის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის კონფერენს-დარბაზში თავი მოიყარა დიდი მეცნიერის მიმდევარმა მრავალმა გამოჩენილმა ფიზიოლოგმა, სამხედრო ექიმმა. სესიაზე მოსმენილ იქნა მეცნიერ მუშაკთა და აკადემიკოსის მოწაფეთა 15 მოხსენება.

აკადემიკოს ი. პ. პავლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის ნაშრომები სპეციალურ წიგნად გამოიცემა. (საკდესი).

30 სექტემბერი.

შეკითხვები თემთა პალატაში ამერიკელი კორესპონდენტისათვის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ გაცემული პასუხის გამო

ლონდონი, 6 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, თემთა პალატაში ჩერჩილს შეეკითხნენ, გააკეთებს თუ არა მთავრობა რაიმე განცხადებას მეორე ფრონტის აუცილებლობის შესახებ ამერიკელი ჟურნალისტის კითხვებზე სტალინის პასუხის თაობაზეო. ჩერჩილმა უპასუხა: „ჩვენთვის სავსებით აშკარაა, რომ ამ მომენტში ინგლისის მთავრობისაგან საჭირო არ არის არავითარი განცხადება, გარდა იმ განცხადებათა, რომლებიც უკვე გაკეთებულია". ჩერჩილმა სთქვა აგრეთვე, რომ მას, რასაკვირველია, წაკითხული და შესწავლილი აქვს განცხადება, რომელზეც ლაპარაკია. ლეიბორისტმა ბივენმა იკითხა: „განა ფაქტი არ არის, რომ მუშები მთელს ინგლისში განიხილავენ იმას, რასაც სტალინის განცხადება გულისხმობს? განა თემთა პალატა არ ისარგებლებს შემთხვევით, რომ ეს განცხადება განიხილოს? ესმის თუ არა პრემიერ-მინისტრს თუ რა სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია სამხედრო მრეწველობაზე იმას, თუ იმატებს შიში, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩვენს შორის არსებობს რაღაც შეუთანხმებლობა?" ჩერჩილმა უპასუხა: „განცხადება მე უკვე გავაკეთე".

ყოფილმა სამხედრო მინისტრმა ოლივერ სტენლიმ განაცხადა: „ინგლისის მოსახლეობის ფართო მასებმა მშვენივრად იციან, რომ მიუხედავად იმისა, თუ რაც უნდა იფიქრონ ჩერჩილზე, იგი მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად საჭიროებს ბიძგის მიცემას". ლეიბორისტმა ბელენჯერმა განაცხადა: „რამდენადაც სტალინის განცხადებიდან სჩანს, არ არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა საშტაბო მუშაობის კოორდინაციაში პოლიტიკური მიზნების შესაბამისად, მაშინ როცა პრემიერ-მინისტრის სიტყვამ მოსკოვიდან მისი დაბრუნების შემდეგ საფუძველი მოგვცა წინააღმდეგი გვეფიქრნა. შეუძლია თუ არა პრემიერ-მინისტრს დაგვარწმუნოს, რომ არსებობს უაღრესად სრული შეთანხმება შტაბების მუშაობის საკითხებზე ინგლისსა და რუსეთს შორის?" ჩერჩილმა უპასუხა: „მე მართლაც არაფერი მაქვს ამჟამად დასამატებელი გულმოდგინეთ აწონ-დაწონილი განცხადებისათვის, რომელიც ამ საკითხზე გავაკეთე, და ენერგიულად ვურჩევ თემთა პალატას დაჟინებით ნუ დასვამს საკითხებს ახლანდელ პერიოდში, რომელიც უეჭველად მნიშვნელოვანია".

ლეიბორისტმა დევისმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც სტალინის ეს განცხადება გამოქვეყნდა, ყველგან უამრავი დისკუსია იმართება, კერძოდ ამერიკაში. ჩერჩილს უნდა განეხილა საკითხი კამათის გახსნის შესაძლებლობისა იმ ახალი გაშუქებით, რაც სტალინის გულახდილმა განცხადებამ მოგვცა. ჩერჩილმა უპასუხა: „მე ვთხოვ თემთა პალატას მხარი დაუჭიროს მთავრობას მის მიერ დაკავებულ პოზიციაში". როცა ლეიბორისტი მაკლინი შეეცადა დაჟინებით მოეთხოვა მთავრობის განცხადება ამ კითხვაზე უახლოეს ხანში და აღნიშნა, რომ ჩერჩილს არ ესმის, თუ რა ცხარედ იხილავენ ამ საკითხს მუშები, სპიკერი ჩაერია, რათა ბოლო მოეღო შემდეგი კითხვებისათვის.

უილკის განცხადება საკდესის კორესპონდენტისადმი

ჩუნცინი, 6 ოქტომბერი (საკდესი). დღეს უილკიმ საკდესის კორესპონდენტს გადასცა შემდეგი განცხადება: „იმედი მაქვს, რომ მისტერ სტალინის განცხადება დიდი ძალით მიაპყრობს გაერთიანებული ქვეყნების ხალხთა ყურადღებას რუსეთის გადაუდებელი საჭიროებისადმი. სწორედ ეს იყო მიზანი იმ განცხადებისა ჩემ საკუთარ შეხედულებათა შესახებ, რაც წარსულ კვირაში გავაკეთე მოსკოვში".

უელესის განცხადება ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტისათვის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ გაცემული პასუხის გამო

ვაშინგტონი, 5 ოქტომბერი (საკდესი). უპასუხა რა პრესის წარმომადგენელთა კითხვებს კორესპონდენტ კესიდისათვის ამხანაგ სტალინის მიერ გაცემული პასუხის შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ უელესმა განაცხადა, რომ მან დიდი ყურადღებით წაიკითხა სტალინის წერილი. საჭირო არ არის, აღნიშნა უელესმა, გამოცხადება იმ პოლიტიკის შესახებ, რომელიც არა ერთხელ გამოქვეყნებულა და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკის მთავრობას განზრახული აქვს დახმარება გაუწიოს საბჭოთა არმიას ყოველი შესაძლებელი ფორმით, მატერიალური იქნება ეს დახმარება თუ ფიზიკური, და რომ ამერიკის შეერთებული შტატები იმ უდიდეს დახმარებას უწევენ, რაც კი ადამიანს შეუძლია. უელესმა აღნიშნა, მას სურს დაადასტუროს ამერიკის პოლიტიკა ასეთი დახმარების აღმოჩენისა განუზომელი ოდენობით. წმინდა სამხედრო საკითხები და საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონთან დაკავშირებული საკითხები უნდა განიხილონ მთავრობის იმ დაწესებულებებმა, რომელნიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი ასეთი საკითხების გადაწყვეტასთან.

ამხანაგ სტალინის პასუხი ამერიკელი კორესპონდენტის კითხვებზე ინგლისისა და ამერიკის პრესაში

ლონდონი, 6 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისური გაზეთები ფართოდ აქვეყნებენ ამხ. ი. ბ. სტალინის პასუხს ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის კითხვებზე. გაზეთმა „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტმა" პირველ გვერდზე გამოაქვეყნა პასუხის ტექსტი შემდეგი სათაურით: „სტალინი მოკავშირეთა სრულსა და დროულ დახმარებას მოითხოვს. მეორე ფრონტს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს". გაზეთ „ნიუს ქრონიკლში" ამხ. ი. ბ. სტალინის პასუხი მოთავსებულია შემდეგი სათაურით: „სტალინი ამბობს: მეორე ფრონტს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვსო". გაზეთ „დეილი ექსპრესმა" ასეთი სათაური მიუცია: „სტალინი აკრიტიკებს დახმარებას, რომელსაც მოკავშირეები უწევენ საბჭოთა კავშირს. საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: შეასრულეთ თქვენი ვალდებულებანი მთლიანად და დროულად. დღემდე დახმარება ნაკლებ ეფექტიანი იყო". გაზეთ „ტაიმსში" ამხ. სტალინის პასუხის ტექსტი დაბეჭდილია შემდეგი სათაურით: „შეუმსუბუქეთ ტვირთი რუსეთს".

ბრიტანეთის რადიომაუწყებელმა კომპანიამ გადასცა სრული ტექსტი ამხ. სტალინის პასუხისა ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის კითხვებზე. ეს პასუხი გადმოცემულია ინგლისის ინფორმაციის სამინისტროს ცნობაშიც.

ნიუ-იორკი, 6 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკული გაზეთები პირველ გვერდზე აქვეყნებენ ამხ. ი. ბ. სტალინის პასუხს ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის კითხვებზე. ეს პასუხი რადიოთი გადასცა აგრეთვე ამერიკის ყველა უდიდესმა სააგენტომ და რადიოკომპანიამ. ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი ქალი დოროთი ტომპსონი რადიოთი გადაცემულ თავის კომენტარებში აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირს ესმის კოალიციური ომის მნიშვნელობა. ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის მტკიცე კავშირს შეუძლია უზრუნველჰყოს სწრაფი გამარჯვება ომში. საბჭოთა კავშირი გულწრფელად ისწრაფის კოალიციური ომისაკენ, იგი მოითხოვს, რომ მოკავშირეებმა მთლიანად და დროულად შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი".

ბრძოლები მოზდოკის რაიონში

მოქმედი არმია, 7 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში მთელ დღეს სწარმოებდა გააფთრებული ბრძოლები. მტერი, მიუხედავად დიდი ზარალისა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ, ხელს არ იღებს იმის ცდებზე, რომ სოფელი დაიკავოს. საბჭოთა ჯარები მედგრად იგერიებენ მტრის მოძალებას, კონტრიერიშზე გადადიან და საგრძნობ დარტყმებს აყენებენ ჰიტლერელებს.

ფაშისტთა სარდლობა შეტევაზე გადმოვიდა მთელ რიგ უბნებზე ერთიდან სამ ბატალიონამდე ქვეითი ჯარით, რომელსაც ტანკები ახლდნენ. მტრის იერიში 5-7-ჯერ განმეორდა, ყველა უბანზე მტერი უკუგდებულია. ამ ბრძოლებში გერმანელებმა 485 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს 28 ტყვიამფრქვევი, 2 ჯავშნიანი მანქანა, დიდძალი შაშხანა და ვაზნები.

სხვა ადგილას გერმანელებმა 4 იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. ტანკებს გერმანელთა ქვეითი ჯარი მოჰყვებოდა. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა. მტრის ტანკებს თავს დაატყდა არტილერიისა და ჯავშანმტერეველთა ცეცხლი. მტრის ქვეითს ჯარს მეავტომატეთა და სანაღმსატყორცნო ქვეგანაყოფთა ერთსულოვანი ცეცხლით შეხვდნენ. მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა ასობით მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი, ათეულზე მეტი დაზიანებული ტანკები და იძულებულ იქნა უკან დაეხია. ჩვენმა ნაწილებმა გააფთრებული ბრძოლების შემდეგ მარტო ერთ უბანზე გადმოინაცვლეს ახალ ზღუდეზე.

მტერთან შეუპოვარ შეტაკებებში ჩვენი მებრძოლები და მეთაურები მეომრული სიმამაცის ბრწყინვალე მაგალითებს გვიჩვენებენ. ლეიტენანტმა აბუტალიპოვმა მტრის ძლიერ სანაღმსატყორცნო ცეცხლქვეშ ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხთა ბატარია დააყენა. როდესაც მტრის ტანკები გამოჩნდნენ, ბატარიამ აიძულა ჰიტლერელები უკან გაბრუნებულიყვნენ. არტილერისტებმა დასწვეს 3 ტანკი და დააზიანეს 6 მანქანა. ქვემეხთა ცეცხლით მოსპობილია მტრის საკომანდო პუნქტი, რამდენიმე სატყვიამფრქვევო წერტი და გაფანტულია ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

ერთ-ერთ ბრძოლაში ნაღმის აფეთქებამ დააბრმავა ქვემეხის მეთაური უმცროსი სერჟანტი ნიკოლოზ ივანოვი. ივანოვი კვლავ ქვემეხთან ახლო დარჩა. ნაღმსატყორცნის ცეცხლით დაიჭრა გუნდის ყველა მებრძოლი, მაგრამ ისინი, თავიანთი მეთაურის მაგალითით აღფრთოვანებულნი, განაგრძობდნენ ცეცხლის დაშენას მტრისათვის. ჰიტლერელებმა ვერ გასტეხეს საბჭოთა არტილერისტების წინააღმდეგობა. მტრის ყველა იერიში მოგერიებულ იქნა.

მთის რაიონებში ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ, წინ წაიწიეს და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს პოზიციები.

ბრძოლები ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით

მოქმედი არმია, 7 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ახალი ძალით გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები. საბჭოთა ჯარების მიერ სექტემბრის დამლევს განადგურებული რუმინელთა მესამე სამთო-მსროლელი დივიზიის ნაცვლად გერმანელთა სარდლობამ აქ რუმინელთა ახალი მსროლელი დივიზია გამოიყვანა. ეს დივიზია უკანასკნელ დრომდე ქერჩის გარნიზონის შემადგენლობაში იყო.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში ამ დივიზიის ნაწილებმა მოახერხეს სოლივით შემოჭრილიყვნენ ჩვენს თავდაცვაში. გარღვევის ფლანგებზე საბჭოთა სარდლობამ თავი მოუყარა საზღვაო ქვეითს ჯარს და მსროლელ ნაწილებს. რკალში მოჰყვა მტრის ორ პოლკამდე ჯარი. საბჭოთა მებრძოლებმა, რომლებიც გარშემორტყმულ მტერს ურტყამდნენ, რუმინელთა ორი ბატალიონი გაჟლიტეს. მტრის ზარალი ბრძოლების პირველი ორი დღის განმავლობაში ორიათასამდე ჯარისკაცსა და ოფიცერს შეადგენს. ჩვენ უკანვე დავიბრუნეთ დასახლებული პუნქტები, ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დავლა.

მდგომარეობის სახსნელად, გერმანელთა სარდლობამ რუმინელთა დივიზიის დასახმარებლად გერმანელთა მსროლელი პოლკი გამოიყვანა. ფაშისტებმა შემოუტიეს ჩვენს პოზიციებს ორი ბატალიონი ქვეითი ჯარით, 6 ტანკითა და 8 ჯავშნიანი მანქანით. მტრის იერიში მოგერიებულ იქნა მისთვის დიდი ზარალის მიყენებით. ჩვენმა არტილერიამ და ავიაციამ, რომელნიც მტრის დაჯგუფებათა წინააღმდეგ მოქმედებდნენ, მოსპეს 4 ქვემეხი, სატყვიამფრქვევო წერტი, რამდენიმე ავტომანქანა ქვეით ჯარიანად და მტრის ტვირთებიანად, ასეულზე მეტი ჯარისკაცი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მტრის ორი თვითმფრინავი „მესერშმიტ-109".

ტყვეები აჩვენებენ, რომ, როგორც წესი, როცა გერმანელები რუმინელთა ბატალიონს გზავნიან იერიშზე, მათ უკან უყენებენ თავიანთ მეავტომატეთა ასეულს. მიუხედავად ამისა, რუმინელები ცუდად იბრძვიან და პირველსავე მარჯვე შემთხვევაში ტყვედ ჩავარდნას ცდილობენ.

ა. პუხოვი

მეკავშირე ბ. ძიძიგურის ვაჟკაცობა

— თერგი! თერგი! — ჩასძახოდა ყურმილში მეთაური, მაგრამ აპარატი სდუმდა.

გარშემო უფრო და უფრო ძლიერდებოდა გერმანელთა ავტომატების ტკაცატკუცი, უფრო და უფრო ახლოვდებოდა მტრის ტანკების გუგუნი.

— კავშირგაბმულობა გადაუჭრიათ არამზადებს! — სთქვა მეთაურმა და გაჯავრებულმა დაავდო ყურმილი.

ბატარეასთან კავშირი უნდა აღედგინათ რაც უნდა დამჯდარიყო. საარტილერიო ცეცხლის დაუხმარებლად ძნელი იქნებოდა მტრის მოძალების შეკავება.

მეთაურმა გასცა ბრძანება დაეძახნათ მეკავშირისათვის. მის წინ, თითქოს მიწიდან ამომძვრალო, აპარატიანად გაჩნდა **ბაგრატ ძიძიგური.**

— თქვენი ბრძანების თანახმად წითელარმიელი ძიძიგური მოვიდა და მზად არის ხაზზე გასასვლელად.

ძიძიგური მიდიოდა მაღალ ბალახში და ხშირხშირად ხელით სინჯავდა გაბმულ სადენს. ფაშისტებმა მალე შეამჩნიეს მებრძოლი და ავტომატების ძლიერი ცეცხლი დაუშინეს. ტყვიები წვიმასავით ცვიოდა ბაგრატის წინ. ეკლიანი ჯაგნარი ტანსაცმელს უხევდა და სახეს უკაწრავდა. მამაცი მეკავშირე კი სულ წინ მიხოხავდა. უკვე კილომეტრნახევარი გაიარა, მაგრამ დაზიანებული ადგილი ვერ აღმოაჩინა.

ბოლოს მეკავშირემ ხელით დაბღუჯა დაზიანებული სადენი, კიდევ ერთი წუთი, და ძიძიგურმა აპარატი ჩართო ხაზში, გამოიძახა მეთაური.

ცოტა ხნის შემდეგ მებრძოლს მკაფიოდ მოესმა არტილერიის გრიალი, რამაც ძლიერ გაახარა. არტილერიის ეს ცეცხლი მტერს თავს დაატეხა მან, მეკავშირე ბაგრატ ძიძიგურმა.

ი. ლუბინსკი

მოქმედი არმია.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის XXV წლისთავს

ქარხნის მოწინავე ადამიანები. ზევითა რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): ა. ივანოვი, პ. მალიშკო, შ. საღირაშვილი და ი. სლიუსარევი; ქვევითა რიგში — ქ. ასანიშვილი, ს. ოსტაპენკო, ი. მაზიაშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა

მოწინავე ქარხნის მოწინავე ადამიანები

№ ქარხანაში საომარი დროის ტემპებით მუშაობენ. აქ, ამ ქარხანაში, საამქროების მეთაურებით დაწყებული და საშუალო, რიგითი მუშით გათავებული, ყველა ერთი გრძნობით არის გამსჭვალული — თავდადებული შრომით ყოველდღიურად გამოუშვან ფრონტისათვის მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია ვერაგ მტერზე—პირსისხლიან ფაშიზმზე გასამარჯვებლად.

ქარხანაში საამქროებსა და ცალკე უბნებს შორის ფართოდ არის გაჩაღებული წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. ერთმანეთს ეჯიბრებიან ომიანობის დროის სტახანოველები, რომლებიც იძლევიან დავალებათა შესრულების საუკეთესო მაჩვენებლებს.

ქარხანამ სექტემბრის გეგმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დარგში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. აქ შრომის ნაყოფიერება თითოეულ მუშაზე სექტემბერში აგვისტოსთან შედარებით გაიზარდა 12 პროცენტით. თუ აგვისტოში წუნი შეადგენდა 1,06 პროცენტს, სექტემბერში იგი 0,65 პროცენტამდე დავიდა. გასულ თვეს ქარხანაში შემოვიდა მუშათა 102 რაციონალიზატორული წინადადება; აქედან უკვე განახორციელეს 30 წინადადება, რაც ქარხანას წლიურად მისცემს 559.000 მანეთის ეკონომიას. ქარხნის კოლექტივმა მიაღწია მასალის, სათბობისა და ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ეკონომიას.

ამ მაჩვენებლებისათვის ქარხანამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა და მესამე პრემია მიიღო.

სოციალისტურ შეჯიბრებაში საგრძნობლად დაწინაურდნენ ცალკეული საამქროები. მაგალითად, მიმდინარე წლის დასაწყისიდან ყოველთვიურ გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებს ყველაზე დიდი და რთული საამქრო № 9, რომლის უფროსია ამხ. მ. დელერზონი. ამ საამქროს სექტემბერში ოთხი ათასოვანი მუშა ჰყავდა, ახლა უკვე ექვსი ჰყავს. ზეინკალმა ა. ივანოვმა, ხასანის ბრძოლების მონაწილემ, რომელსაც მიღებული აქვს მედალი „მამაცობისათვის", სექტემბრის დავალება 700 პროცენტით შეასრულა. მან თავის აღზრდილ ზეინკალ პ. მალიშკოსთან ერთად 2 და 3 ოქტომბერს დავალებები 1.070 პროცენტით შეასრულა. მათ შეწყობილი მუშაობით და წინასწარი მომზადებით 395 საათში გასაკეთებელი სამუშაო 37 საათში შეასრულეს. ამავე საამქროს ოთხასოვანმა მღარველმა დ. რუდმა 3 ოქტომბერს მუშაობა ორ დაზგაზე დაიწყო და დღიური დავალება 1.113 პროცენტით შეასრულა.

სტახანოვურ მაჩვენებლებს იძლევა № 9 საამქროს ახალგაზრდა ზეინკალი ქ. ასანიშვილი, რომელიც ყოველდღიურად ორ-სამ ნორმას ასრულებს; გამკრიალებელი შ. საღირაშვილი უშვებს მაღალხარისხოვან პროდუქციას, დავალებას ყოველთვის 300 პროცენტამდე ანაღდებს.

სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს საამქრო № 19 (უფროსი ლარიონოვი), რომელმაც სექტემბერში შინასაქარხნო სოცშეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა. ამ საამქროს ბევრი სტახანოველი ჰყავს. მათ შორის გამოირჩევა ი. სლიუსარევი. მან სექტემბრის დავალება 825 პროცენტით გაანაღდა. ი. მაზიაშვილი და ს. ოსტაპენკო ყოველდღიურ გეგმებს 300-400 პროცენტამდე ასრულებენ. ესენი მოწინავენი არიან ყველა საწარმოო დავალებათა შესრულებაში.

წინ მიდის № 2 საამქრო (უფროსი კორიე), სადაც დიდი საწარმოო მაჩვენებლებით გამოირჩევიან დურგლები კარპოვი და სიტკო. № 8 საამქროს სტახანოველები ზეინკალი გეოზდიოვი და მღარველი სტავროვი სისტემატურად ხუთ-ექვს ნორმას იძლევიან.

ქარხანას ბევრი ჰყავს ომიანობის დროის სტახანოველები—ორასოვნები, სამასოვნები და ოთხასოვნები, რომლებიც კიდევ უფრო დაწინაურდნენ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში. ქარხნის მთელი კოლექტივი ერთსულოვნად იბრძვის, რათა ოქტომბერში კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწიოს და ღირსეულად შეხვდეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავს.

პ. ზურაბიშვილი

კიროვის ქარხანას მესამე ადგილი მიეკუთვნა

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით სექტემბერში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანას (ქარხნის დირექტორი სარიშვილი, პარტბიუროს მდივანი გ. კაზაზიშვილი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. შაუტიძე) მიეკუთვნა მესამე ადგილი და მიეცა ფულადი ჯილდო 75.000 მანეთის რაოდენობით.

ამ სასიხარულო ცნობასთან დაკავშირებით გუშინ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ქარხნის ყველა საამქროში შესდგა მუშათა მიტინგები, რომლებზეც საამქროს უფროსებმა დაწვრილებით გააცნეს სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის სახალხო კომისრის ამხ. ეფრემოვის მისალოცი დეპეშა. მუშებმა და ინჟინერტექნიკოსებმა პირობა დასდეს კიდევ უფრო მონდომებით იმუშაონ, რათა რაც შეიძლება მეტი და მეტი პროდუქცია მიაწოდონ დედა სამშობლოს, ფრონტს.

ქარხანამ, რომელმაც სექტემბრის დავალება დიდი გადამეტებით შეასრულა, ოქტომბრის პირველ დღეებში კიდევ უფრო გააუმჯობესა თავისი მუშაობა. საიარაღო საამქრო, მე-11, მე-9 და მთელი რიგი სხვა საამქროები ყოველდღიურ დავალებებს სისტემატურად ორმაგად და სამმაგად ასრულებენ.

ქუთაისის საწარმოთა დირექტორების თათბირი

ქუთაისი („კომუნისტის" კორ.). 5 ოქტომბერს საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომში შესდგა ქუთაისის საწარმოთა დირექტორების თათბირი. თათბირმა, რომელიც გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომის მდივანმა ამხ. გ. ნარსიამ, განიხილა სექტემბრის საწარმოო გეგმების შესრულების შედეგები და წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა. ამ საკითხის გარშემო ინფორმაციით გამოვიდნენ ქუთაისის საწარმოთა ხელმძღვანელი ამხანაგები: დალაქიშვილი, თედორაძე, ძმისტარიშვილი, დავლიანიძე, მაჰარაძე, სურმავა, ჯიმშელეიშვილი, ყარყარაშვილი, დოლიძე და რევიშვილი.

ქუთაისის საწარმოთა უმრავლესობამ წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად გადაჭარბებით შეასრულა სექტემბრის საწარმოო გეგმები. მაგალითად, ქუთაისის მაუდის ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით 686 მეტრი ქსოვილი გამოუშვა და სექტემბერში 9 ქალს შეასწავლა ორ დაზგაზე მუშაობის რთული საქმე; ქუთაისის ლიტოპონის ქარხანამ პირველი სახის პროდუქციის გამოშვების სექტემბრის გეგმა 171 პროცენტით შეასრულა, მეორე სახის პროდუქციის გამოშვებისა—120 პროცენტით; ქარხანამ აითვისა მესამე სახის პროდუქციის გამოშვების რთული საქმე. გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატმა, ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა, ხორცკომბინატმა და სხვ.

მაგრამ სექტემბერში ჩამორჩენას ვერ დააღწია თავი ქუთაისის ვ. მ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატმა (დირექტორი ამხ. დავლიანიძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. იოსელიანი). თათბირზე მკაცრად იქნენ გაკრიტიკებული აბრეშუმის კომბინატის ხელმძღვანელები, რომლებიც უფრო მეტ დროს ანდომებენ თავის გამართლებისათვის ობიექტური მიზეზების გამონახვას, ვიდრე ამ ჩამორჩენის სასწრაფოდ აღმოფხვრას. კომბინატში სუსტია შრომის დისციპლინა, ზოგიერთები ვერ ასრულებენ მიცემულ გეგმებს. ძაფსაღები ფაბრიკის დირექტორი ყუფარაძე სერიოზულად არ ეკიდება მინდობილ საქმეს.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ნარსიამ.

ს. ყურაშვილი

მარცვლეულის ლეწვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე ასურეთის მტს-მა გადაჭარბებით შეასრულა მარცვლეულის გალეწვის გეგმა. გეგმით მტს-ს კოლმეურნეობებისათვის უნდა გაელეწა 2.800 ტონა მარცვლეული, ფაქტიურად 3 ოქტომბრისათვის გალეწილი იყო 3.295 ტონა.

ლეწვაში მტს-ი დაეხმარა ასურეთის რაიონის ისეთ კოლმეურნეობებსაც, რომლებთანაც მას ხელშეკრულება არა ჰქონია დადებული. მაგალითად, სოფ. მაწევანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას და სოფ. სამშვილდის კოლმეურნეობა „წითელ დროშას" მტს-მა გაულეწა 308 ტონა მარცვალი.

მლეწავებს შორის საგულისხმოა გ. მიდელაშვილის, ი. პუზიკის, ა. შარაბიძის და სხვათა ენერგიული მუშაობა. ისინი თითქმის ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებდნენ მიცემულ გეგმებს. მათ სულ 850 ტონა მარცვალი გალეწეს.

ამჟამად მტს-ი წარმატებით აწარმოებს საშემოდგომო ხვნა-თესვას. 3 ოქტომბრისათვის მოხნული იყო 2.104 ჰექტარი, გეგმის 83,5 პროცენტი.

ასურეთის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი **დ. შალუტაშვილი**

საოქტომბრო საჩუქრები გმირ წითელ არმიას

საქართველოს რემედასის ორგანიზაციებმა ფართო მუშაობა გაშალეს ფრონტისათვის საოქტომბრო საჩუქრების შესაგროვებლად. მთელს რესპუბლიკაში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. სხვა საჩუქრებთან ერთად საქართველოს რემედასელები მებრძოლებისათვის დაამზადებენ წინდებსა და ხელთათმანებს. მიმდინარეობს პირადი მოხმარების საგნების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ხილისა და თამბაქოს შეგროვება. ლანჩხუთის რემედასელებს (რემედასის რაიკომის თავმჯდომარე ამ. იმნაიშვილი) უკვე შეგროვილი აქვთ 100 კილოგრამი თხილი და სხვა ხილეული. შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს. ხარაგოულის რემედასელები ყურძენს, კომშსა და სხვა ხილეულს ამზადებენ. რემედასის ცენტრალური კომიტეტი ფრონტზე გაგზავნის ერთ ვაგონ საოქტომბრო საჩუქრებს.

№ ჰოსპიტლის მუშაკებმა ერთი დღის ხელფასი გადასდეს და გადასწყვიტეს მამაც ფრონტელებისათვის დაამზადონ საჩუქრები. ამანათებით გაგზავნილი იქნება საპონი, საცვლები, კონვერტები, საწერი მოწყობილობა, ასი შეკვრა თამბაქო, რამდენიმე ცხვირსახოცი და პირსახოცი, რომლებზეც ამოქარგული იქნება წარწერა „მამაც მებრძოლს № ჰოსპიტლის მუშაკებისაგან".

ექიმი ლ. გვაზავა და ექიმის თანაშემწე პ. ლიზაკი უშუალოდ ხელმძღვანელობენ ამანათების დამზადებას. რამდენიმე დღის შემდეგ ამანათები მზად იქნება და მოქმედ არმიაში გაიგზავნება. საოქტომბრო საჩუქრების შეგროვება წარმატებით გრძელდება.

* * *

გორი („კომუნისტის" კორ.). რაიონის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით აგროვებენ საჩუქრებს გმირი წითელი არმიის მებრძოლებისათვის. გორის საკონსერვო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა საჩუქრების შესაძენად გაიღეს ორ-ორი დღის ხელფასი. გორის პედინსტიტუტის მასწავლებლებმა 2.500 მანეთი შეაგროვეს. რაიონის მასწავლებლობა სულ 25.000 მანეთის საჩუქრებს კაუგზავნის წითელ მებრძოლებს. საჩუქრების შეგროვება სწარმოებს რაიონის კოლმეურნეობებშიც.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ოსნაბრიუკზე

ლონდონი, 7 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 6 ოქტომბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენთა დიდმა ძალებმა კონცენტრირებული თავდასხმა მოაწყეს სამრეწველო და სარკინიგზო ცენტრ ოსნაბრიუკზე. ინგლისელთა 6 თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

ამერიკის ბომბდამშენთა თავდასხმა მტრის გემებზე ნავარინოს ნავსადგურში

ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ამერიკის ბომბდამშენები 5 ოქტომბერს თავს დაესხნენ ნავარინოს ნავსადგურს სამხრეთდასავლეთ საბერძნეთში. შემჩნეულია, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა მტრის ორ დიდ სატრანსპორტო გემს, რის გამოც ამ გემებზე აფეთქებები მოხდა.

შინაპოლიტიკური ვითარების გამწვავება დანიაში

ჟენევა, 7 ოქტომბერი (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, ამ უკანასკნელ დღეებს ახასიათებს შინაპოლიტიკური ვითარების გამწვავება დანიაში. დანიის მოსახლეობაში დიდი აღელვება გამოიწვია ხმებმა იმის შესახებ, რომ ჰიტლერს განზრახული აქვს დანია შეიყვანოს გერმანიის იმპერიის შემადგენლობაში. როგორც გერმანელთა კონტროლქვეშ მყოფი ჰავას - ოფის სააგენტო აღიარებს, „ამჟამად დანია ისეთსავე კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება, როგორშიც 1940 წლის 9 აპრილს იყო, როცა გერმანიის ჯარებმა ეს ქვეყანა დაიკავეს. ახლა ეს მდგომარეობა დაკავშირებულია იმ ღონისძიებებთან, რომლებსაც ბერლინი ანხორციელებს დანიელი ფაშისტებისა და მათი მეთაურის ფრიც კლაუსენის დახმარებით იმისათვის, რომ დანია აიძულონ რაც შეიძლება მალე შევიდეს გერმანიის იმპერიის შემადგენლობაში. ამ უკანასკნელ ხანს მომხდარი ფაქტები ცხადჰყოფენ, რომ დანიაში იბადება მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც მოწმობენ მდგომარეობის გამწვავებას დანიაში". ამის პირველ ნიშანს, — იუწყება სააგენტო, — წარმოადგენდა დანიის პრემიერმინისტრ ბულის მიერ 2 სექტემბერს წარმოთქმული სიტყვა. ბულმა გააფრთხილა მოსახლეობა არ ჩაიდინოს საბოტაჟური მოქმედება, რადგან, მისი სიტყვით, „ამას შეუძლია გამოიწვიოს გაძლიერება რეპრესიული ზომებისა, რომლებსაც უკვე მიმართავენ სხვა ოკუპირებულ ქვეყნებში". ამ უკანასკნელ ხანს თითქმის ყოველდღე ხდება ჩხრეკა სახლებში, საყოველთაო ჩხრეკა და დაპატიმრება ქუჩებში პოლიციელთა მიერ.

დანიაში დაძაბულ ვითარებას მოწმობენ აგრეთვე გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობები იმის შესახებ, რომ „დანიაში ყველაფერი ისე როდი მიმდინარეობს, როგორც მოსალოდნელი იყო. ჩანს, დანიის ზოგიერთმა წრეებმა გადასწყვიტეს, რომ შეუძლიათ ჩაიდინონ სხვადასხვა ექსტრავაგანტობა". ეს „ექსტრავაგანტობა" იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან დაბრუნებულ დანიელ „მოხალისეებს" სამშობლოში დაბრუნებისას გულგრილად, უყურადღებოდ და დაცინვითაც კი შეხვდნენ. ასეთ შემთხვევებს, — მუქარით არის ხაზგასმული ცნობაში, — „შეუძლია დაარღვიოს სიმშვიდე და გამოიწვიოს რეაქცია ბერლინის მხრივ".

ოკუპირებული საბჭოთა რაიონების მოსახლეობის დაუცხრომელი სიძულვილი ჰიტლერელი დამპყრობლებისადმი

ჟენევა, 5 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის გაზეთების ცნობები ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში არსებული მდგომარეობის შესახებ იმას მოწმობს, რომ ოკუპანტები ყოველ ნაბიჯზე ხვდებიან გააფთრებულ წინააღმდეგობას, რომელსაც ამ რაიონების მოსახლეობა უწევს გერმანელთა ყველა ღონისძიებას.

გაზეთმა „კენიგსბერგერ ალგემაინე ცაიტუნგმა" მოათავსა თავისი კორესპონდენტის სტატია იმის შესახებ, თუ როგორ ეკიდება ოკუპირებული რაიონების მოსახლეობა გერმანელების მიერ დასახულ ამოცანას — „მოსპონ კოლმეურნეობები და მოახდინონ ოკუპირებულ რაიონებში მასობრივი საქალაქო ინდუსტრიის ლიკვიდაცია". ამ გაზეთის კორესპონდენტი, რომელიც ერთ კოლმეურნეობაში იყო, აღიარებს, რომ ეს კოლმეურნეობა მდიდრულად ცხოვრობდა. „კოლმეურნეობას, რომელსაც ჩვენ ვეწვიეთ,—ნათქვამია კორესპონდენციაში,—ჰქონდა საკმაოდ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ნაგებობანი, წყალსაწნევი კოშკი, სასადილო, თავისი ელექტროსადგური, აბანო და ძალიან ბევრი საჯინიბო, რომლებიც ახლა ცარიელია, საბავშვო მოედანი, საავადმყოფო, ლამაზი შენობა ადმინისტრაციისათვის და კარგად მოწყობილი კინო". ჰიტლერელებმა გადასწყვიტეს დაენგრიათ ეს კოლმეურნეობა, „მაგრამ,—აღიარებს კორესპონდენტი, — აქაც აღმოვაჩინეთ უსაშინელესი ფაქტი, როგორსაც საერთოდ ყველა საბჭოთა რაიონში ვხვდებით. როცა ჩვენმა წარმომადგენლებმა ახალგაზრდა საბჭოთა გლეხებს აცნობეს, რომ საკოლმეურნეო საკუთრების ლიკვიდაცია ხდება, მათ გაიკვირვეს და სიხარული კი არ გამოუჩენიათ, არამედ გადაჭრით განაცხადეს უარი. არა, მათ ეს სრულიადაც არ უნდათ. მათ სთქვეს, რომ როგორც წინათ ცხოვრობდნენ, ისე გაცილებით უკეთესი იყო".

გერმანელებისადმი სიძულვილსა და მათ ღონისძიებათათვის უსასტიკეს წინააღმდეგობას უჩივის აგრეთვე გაზეთ „დოიჩე ცაიტუნგ ინ ოსტლანდის" კორესპონდენტი, რომელიც რამდენიმე სოფელში იყო პსკოვის მიდამოებში. კორესპონდენტი აგრეთვე აცხადებს, რომ გლეხებს მასთან ლაპარაკიც კი არ უნდოდათ და რომ „შეუძლებელია მათი უნდობლობის გადალახვა".

იგივე გაზეთი აქვეყნებს ერთი „გერმანელთა სამეურნეო კომანდის" უფროსის სტატიას. ეს მძარცველი ჩივის, რომ რუს გლეხებს გერმანელებისა არა სჯერათ და არ უნდათ სხვა გზით იარონ, თუ არა იმ გზით, რომელსაც წინათ მისდევდნენ. ოკუპირებული რაიონების მოსახლეობას არა სურს გერმანელებისათვის იმუშაოს. გაზეთის სიტყვით, „ოსტლანდის ბალტიის რაიონების (ასე უწოდებენ ჰიტლერელები ბალტიისპირა საბჭოთა რესპუბლიკებს) მოსახლეობა ახლა არავითარ მისწრაფებას არ იჩენს შრომისადმი. შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია".

გაზეთი „ვილნაერ ცაიტუნგი" სწერს, რომ როცა ერთი „გერმანელი სასოფლო-სამეურნეო ხელმძღვანელი" ერთ უკრაინულ სოფელში ჩავიდა, მან აღმოაჩინა, რომ მთელი მინდვრები დაუმუშავებელი დაუტოვებიათ. „დასწყევლოს ღმერთმა! —ისტერიულად გაიძახის გაზეთი,—რატომ არა მუშაობს ეს ხალხი?". ეხება რა ლიტვაში შექმნილ მდგომარეობას, გაზეთი სწერს: ეს მდგომარეობა იმით ხასიათდება, რომ „ადგილობრივებს" — მამაკაცებსა და ქალებს (ესე იგი ლიტველ ხალხს) არა სურთ იმუშაონ გერმანელებისათვის. „ამიერიდან,—იმუქრება გაზეთი,—ეს საბოტაჟის გამწევნი კიდევ უფრო ენერგიულად მიეცემიან პასუხისგებაში და სასტიკად დაისჯებიან".

გაზეთი „რევალერ ცაიტუნგი" იუწყება, რომ ესტონეთის სხვადასხვა რაიონში გაჩნდა ხალხი, რომელიც იარაღს აწვდის მოსახლეობას. გაზეთი იმუქრება, რომ სასტიკად დაისჯებიან ისინი, ვინც არ აცნობებს ამ პირთა შესახებ ან იარაღს დამალავს. გაზეთი „დოიჩე უკრაინე ცაიტუნგი" აცხადებს, რომ „იარაღის მქონე ადგილობრივ მცხოვრებთ მხოლოდ სიკვდილი მოელით. რადაც უნდა დაჯდეს, ხელი უნდა შეეშალოს გერმანელებისათვის ესოდენ საშიში პარტიზანული მოძრაობის განვითარებას".

პარტიზანული მოძრაობის ზრდა ფინეთში

სტოკჰოლმი, 6 ოქტომბერი (საკდესი). ჰელსინკიდან მოსული პირები იტყობინებიან, რომ ფინეთის ხელისუფალნი სერიოზულად არიან შეშფოთებულნი უტეიოკის რაიონში უდიდი პარტიზანული რაზმის მოქმედებით.

ფინელი პატრიოტები მოსვენებას არ აძლევენ გერმანელთა ნაწილებს, რომლებიც თავმოყრილი არიან ფინეთის უკიდურეს ჩრდილოეთში. ამას წინათ პარტიზანებმა გაანადგურეს გერმანელთა სადამსჯელო რაზმი. ჰიტლერელებმა მარტო მოკლულთა სახით 40-მდე კაცი დაჰკარგეს. პატრიოტებმა ხელთ იგდეს დიდძალი დავლა და მიიმალნენ.

პარტიზანები თავს ესხმიან გერმანელთა ალალებს, აბრკოლებენ საომარი მასალისა და სურსათის მიწოდებას. ივნისის, ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში მათ ხელთ იგდეს გერმანელთა 17 აღალი.

სექტემბრის პირველ ნახევარში პარტიზანებმა გაბედული თავდასხმა მოაწყეს გერმანელთა აეროდრომზე. ამ გაბედული ოპერაციის შედეგად მოსპობილ იქნა გერმანელთა 5 ბომბდამშენი, 2 სატრანსპორტო და ერთი მზვერავი თვითმფრინავი, აგრეთვე 70-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

მაგრამ ურტყამს გერმანელ დამპყრობლებს ინარის რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი.

პარტიზანულმა მოძრაობამ ფინეთში ისეთი გაქანება მიიღო, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ჰორელიმ გამოაქვეყნა სპეციალური მოწოდება, რომელშიც მოსახლეობას მოუწოდებს „დახმარება გაუწიონ ხელისუფალთ პარტიზანების დაჭერაში". მაგრამ ფინელი მოსახლეობა არ გამოეხმაურა ამ მოწოდებას. პარტიზანები უხელთებელნი არიან. გლეხები პატრიოტებს ამარაგებენ სურსათით და აფრთხილებენ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

პარტიზანთა რიგები დღითი დღე იზრდება. ასე, მაგალითად, უტეიოკის რაიონში მოქმედი რაზმი უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში თითქმის ერთიორად გაიზარდა. პარტიზანთა შორის ბევრია ფინელი ჯარისკაცი.

ჰიტლერელი ჯალათების მხეცობა პოლონეთში

სტოკჰოლმი, 6 ოქტომბერი (საკდესი). ჰიტლერელები საშინელ ძალადობას სჩადიან პოლონელების მიმართ. ამ უკანასკნელ ხანს ისინი კვლავ ხელაღებით ერეკებიან მთელი სოფლების მოსახლეობას, განსაკუთრებით დასავლეთ პოლონეთში. გადასახლების დროს ბევრ ქალს ხოცავენ, ვინაიდან ამ ქალებს არ შეუძლიათ მათთვის მიცემულ 20 წუთში გაათავისუფლონ ბინები და თან წაიყვანონ ბავშვები. ლიუბარტოვის მაზრის რუდკა კიანსკაში მოსახლეობამ „სს"-ის უნტერ-ოფიცერი მოჰკლა. იქ მისულმა დამსჯელმა ექსპედიციამ 214 ადგილობრივი მცხოვრები დახვრიტა. ცერლიცეში (ზემო სილეზია) საკონცენტრაციო ბანაკიდან გაქცევისა და უცხოეთის რადიოს გადაცემათა გავრცელებისათვის ჩამოახრჩვეს 33 წლის პოლონელი ემილ ტრეპა. სიკვდილით დასჯა მოხდა ტრეპას სახლის წინ, მისი მშობლებისა და კარეინიდან იძულებით მირეკილ მაცხოვრებელთა თანდასწრებით. სიკვდილით დასჯის წინ ტრეპამ ხმამაღლა დაიძახა: „ძირს გერმანელი ჯალათები!".

იტალიის სოფლის მეურნეობის სავალალო მდგომარეობა

სტამბოლი, 6 ოქტომბერი (საკდესი). იტალიის სოფლის მეურნეობის მძიმე მდგომარეობა უდიდ შეშფოთებას იწვევს იტალიის ფაშისტ ხელმძღვანელთა შორის. მუშახელის ნაკლებობამ მკვეთრი გავლენა მოახდინა წლევანდელ მოსავალზე. იტალიის მთელ რიგ რაიონებში მოსავლის აღება გაჭიანურდა, რის შედეგადაც მოსავლის დანაკარგი მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. პრესა არა ჰფარავს, რომ გლეხები მთავრობის ღონისძიებებს ეწინააღმდეგებიან და რეკვიზიციისაგან მალავენ მარცვლეულს.

ამის ილუსტრაციას წარმოადგენს გლეხთათვის გამოტანილი მრავალი სასამართლო განაჩენი, რომლებსაც თითქმის ყოველდღიურად აქვეყნებენ იტალიური გაზეთები. განაჩენთა უმეტესობას მეტად სასტიკი ხასიათი აქვს. ამას წინათ, როგორც გაზეთმა „პოპოლო დ'იტალიამ" ცნობა გამოაქვეყნა, რომის სასამართლომ 16 გლეხს მარცვლეულის ჩაუბარებლობისათვის მიუსაჯა პატიმრობა თითოეულს 20-მდე წლის ვადით და ამავე დროს ჯარიმაც 5 ათასიდან 80 ათას ლირამდე.

გაზეთ „რეჯიმე ფაშისტას" განცხადებით, იტალიის მიწათმოქმედების სამინისტროში გამართულ ფართო თათბირზე აღინიშნა, რომ მიმდინარე და მომავალი წლის საშემოდგომო და საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები შეიძლება ჩატარებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებულ იქნებიან შვებულებაში და თავიანთ ნაწილებში მყოფი ჯარისკაცები.

გაზეთი „პოპოლო დ'იტალია" იუწყება, რომ მთავრობის სპეციალური დეკრეტის საფუძველზე ამიერიდან თითოეული გლეხის ნათესი ფართობის ოდენობას სამიწათმოქმედო ორგანოები განსაზღვრავენ. ამ ფართობს გლეხები „იძულებითი წესით" დაამუშავებენ.

ნორვეგიელთა შეტაკებანი გერმანელ ჯარისკაცებთან

სტოკჰოლმი (საკდესი). როგორც გაზეთი „სოსიალდემოკრატენი" იუწყება, ამ უკანასკნელ ხანს ბერგენში მოხდა ნორვეგიელი მოსახლეობის მთელი რიგი შეტაკებანი გერმანელ ჯარისკაცებთან. კერძოდ, ასეთი შეტაკებანი საკმაოდ ხშირად ხდებოდა ტრამვაის ვაგონებში, სადაც გერმანელთა ყოფაქცევა ნორვეგიელი მოსახლეობის აღშფოთებას იწვევს. ტრამვაის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა მიმართვა მოსახლეობისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ „გერმანული სამხედრო ფორმის მატარებელ პირთ ტრამვაითა და ავტობუსებით მგზავრობას უპირატესობა აქვთ და რომ სამოქალაქო მოსახლეობა ადგილებს უნდა უთმობდეს მათ". იყო შემთხვევები, როცა გერმანელი ჯარისკაცები ტრამვაის ვაგონებიდან ყველა მგზავრს აძევებდნენ და მთელ ვაგონებს იკავებდნენ.

ლავალმა მასობრივად დაითხოვა მუნიციპალური მრჩეველები და მერები

ლონდონი (საკდესი). როგორც ოფის სააგენტო გადმოგვცემს, ვიშის მთავრობამ საგანგებო რწმუნებულება მიანიჭა ლავალს სახელმწიფო აპარატიდან „საეჭვო" მოსამსახურეთა დასათხოვნად. ლავალმა მყისვე დაითხოვა ასობით მუნიციპალური მრჩეველი და მერი. მათ სცვლიან პროჰიტლერული მიმართულების „საიმედო" ადამიანებით. ახალ მუნიციპალურ მრჩეველთა და მერთა ნახევარი შერჩეულ იქნა დეას და დორიოს ბანდიდან. ამით ლავალი ერთგვარ დათმობაზე მიდის თავისი ორივე მეტოქის მიმართ.

„რუსი ადამიანები"

თბილისის სომხური თეატრის პრემიერა

თბილისის სახელმწიფო სომხურმა თეატრმა თავის 1942/43 წ. სეზონი გახსნა სტალინური პრემიის ლაურეატის, დრამატურგ კ. სიმონოვის პიესით — „რუსი ადამიანები".

კ. სიმონოვი ამ ნაწარმოებში მოგვითხრობს სამამულო ომში მონაწილე რუსი ხალხის თავგანწირულ ბრძოლასა და მამაცობაზე.

პიესა სცენიურად კარგად არის გამოკვეთილი, მისი პერსონაჟები საინტერესოა და მრავალფეროვანი.

პიესის დამახასიათებელია აგრეთვე ავტორის მიერ შეტანილი ის რუსული თავისებური და ჯანსაღი იუმორი, რომელიც შესამჩნევად ამსუბუქებს და ჰფანტავს მაყურებლის იმ მძიმე და ტრაგიკულ შთაბეჭდილებას, რაც იქმნება მთელი სპექტაკლის მანძილზე.

მთავარი მოქმედი პირის კაპიტან საფონოვის როლში მსახიობი დორი ამირბეგიანი იძლევა სამშობლოსათვის თავდადებული საბჭოთა ადამიანის მთლიან სახეს. დორი ამირბეგიანის შესრულებით საფონოვს ახასიათებს რომანტიკული გატაცება, ფაქიზი გრძნობები, ეგოიზმის გმობა და საერთო საქმისათვის თავგანწირვა.

მარია პეტროვნას როლში მარი ბეროიანმა დიდი დამაჯერებლობით დაგვანახვა გულთბილი დედის ნაზი და სიყვარულით აღსავსე განცდები გმირი შვილისადმი, ის დიდი პატრიოტიზმი, რომელიც დამახასიათებელია თითოეული ნამდვილი საბჭოთა ადამიანისა.

მსახიობ ქალს მ. აშჩიანს ვალიას როლში ახასიათებს ტემპერამენტი, მაგრამ მსახიობს უკანასკნელ სურათში ჯერ კიდევ აკლია დრამატიული სიმძაფრე და ღრმა განცდები.

უთუოდ საინტერესოა მსახიობ ფ. ბეიკიანის მიერ გლობას როლის შესრულება. გლობაში მოცემულია რუსი ადამიანის გულადობა, გამჭრიახობა, პირდაპირობა, ჰუმორი და სხვა დამახასიათებელი თვისებები. ბეიკიანმა მოგვცა რუსი ხალხის საუკეთესო შვილის მთლიანი სახე.

კარგია ვ. გალსტიანი — პანინის, ჰ. უმიკიანი — ილინის და ო. სამურგაშიანი — შურას როლში, რამდენადაც მათ პიესა გასაქანს აძლევს.

გაიძვერა, მოღალატე და მშიშარა ეგოისტის საზიზღარი სახე გადაგვიშალა მსახიობმა მ. მარუთიანმა ხარიტონოვის როლში.

დამაჯერებელი მღელვარებით და ნათელი ფერებით შეასრულა მარია ნიკოლაევნას როლი მსახიობმა ა. მელიქიანმა.

კოზლოვსკის როლში მსახიობი ა. ლუსინიანი ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. მისი თამაში ერთფეროვანია და არ ემჩნევა ის კონტრასტულობა, რომელიც აუცილებელია ამ როლის განსახიერებისათვის.

ვასინის როლში ა. ბეროიანი ოსტატურად გვიხატავს საბჭოთა ქვეყნის ერთგული ადამიანის სახეს, რომელიც არ ინდობს თავის ღვიძლ, მაგრამ მოღალატე დისწულსაც კი (კოზლოვსკის). ბეროიანი კარგია განსაკუთრებით უკანასკნელ გამოსვლაში — სიკვდილის წინ.

მრავალფეროვანი და დამახასიათებელი შტრიხებით გადმოგვცემს სადისტური თვისებით აღჭურვილ გერმანელ კაპიტან როზენბერგის სახეს მსახიობი ტ. ვარდაზარიანი.

დამაკმაყოფილებელია მსახ. ა. ქაჯვორიანის მიერ ვერნერის როლის შესრულება. მხოლოდ შევნიშნავთ მსახიობს, რომ მან უნდა გამონახოს როლის შესაფერისი ინტონაციები, თორემ ერთი და იგივე მონოტონური კილო ყოველ როლში მოსაბეზრებელია.

მსახ. ჰ. ჰარუთინიანი კრაუზეს ტიპიურ სახეს გვაძლევს, მაგრამ იგი უნდა ერიდოს ზედმეტ მანჭვა-გრეხას, რომელიც აფუჭებს სერიოზულ სცენებს.

კარგია აგრეთვე დამსახურებული მსახიობი ლ. ალაპვერდიანი როგორც მოროზოვის, ისე ლუკონინის როლში.

სპექტაკლის საერთო მსვლელობას ხელს უწყობენ მსახიობები ი. შაჰნაზარიანი (ლეიტენანტი) და ნ. თუმანიანი (გავრილოვი).

რეჟისორ ა. აბარიანს სწორად გაუგია და გაუხსნია პიესა „რუსი ადამიანები". რეჟისორი ხაზს უსვამს სწორედ იმ აზრს, რომელიც ავტორმა პირველ პლანზე წამოაყენა — რუსი ადამიანების გმირული ბრძოლა და გამარჯვების რწმენა. მიზანსცენები კარგად არის მოფიქრებული, სპექტაკლი ოსტატურად არის შეკრული. მხატვრული გაფორმება, რომელიც ეკუთვნის რ. ნალბანდიანს, სავსებით დამაკმაყოფილებელია. ზედმეტად მიგვაჩნია მხოლოდ ვეებერთელა თალი სცენის ცენტრში. კარგი და რეალური ფერებით არის შესრულებული მხატვრის მიერ პეიზაჟები.

კომპოზიტორ ლ. კრუტიკოვის მუსიკა გვაგრძნობინებს იმ სიტუაციას, რომელშიც მიმდინარეობს პიესის მოქმედება.

პიესის თარგმანი ეკუთვნის ტ. ჰახუმიანს. თარგმანი საერთოდ კარგია, ხოლო ზოგიერთ ადგილას არ არის დაცული რუსული ხალხური სისადავე.

პიესა „რუსი ადამიანების" დადგმა თბილისის სახელმწიფო სომხურ თეატრში სეზონის კარგი დასაწყისია.

სურენ ავჩიანი

საბჭოთა კავშირში

მთელი ჩვენი ქვეყანა სადღესასწაულო საჩუქრებს უგზავნის თავის მეომარ შვილებს

მთელ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავისათვის საჩუქრების შეგროვება წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთათვის გასაგზავნად.

შორეული ტაჯიკეთის მშრომელნი სტალინგრადის გმირ დამცველებს უგზავნიან 20 ვაგონ ხორცს, ერბო-კარაქს, ნამცხვარს, ღვინოსა და თამბაქოს. 10 ვაგონი სურსათ-სანოვაგე გაეგზავნებათ ვორონეჟის რაიონში მებრძოლ მეომრებს.

დიდძალი საჩუქარი მზადდება ხაბაროვსკისა და კრასნოიარსკის მხარეებში. მოსახლეობა ჰგზავნის ირმის ტყავის ფეხსაცმელს, ბეწვის წინდებს, ხელთათმანებს, ათასობით ქურთუკსა და თექის ჩექმას. ქვემო ამურის მშრომელნი ჰგზავნიან 2 ვაგონ თევზს, 2 ცენტნერ მარცვლოვან ხიზილალას და დიდძალ შაშხს. ბირობიჯანის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში გასაგზავნად მომზადებულია 20 ცენტნერი ნამცხვარი და ორცხობილა, დიდძალი ქონი, ხორცი, ბოსტნეული, ვარდა ამისა, კოლმეურნეები ინდივიდუალურ ამანათებს ამზადებენ. ბაშკირეთის მშრომელთაგან მიღებულია ერთ მილიონ მანეთისაზე მეტი ღირებულების საჩუქრები.

შორეულ აღმოსავლეთის ნაციონალური კოლმეურნეობა „ოროჩის" წევრები საჩუქრებს ამზადებენ ლენინგრადის ფრონტის მებრძოლთათვის. კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის პუდოჟის რაიონის კოლმეურნეები ათობით ცენტნერ ახალ თევზს ამზადებენ კარელიის ფრონტის მებრძოლთათვის. კიროვის ოლქის მშრომელნი 42 ვაგონ საჩუქარს გაუგზავნიან წითელდროშოვანი ბალტიკის მეზღვაურებს და ჩრდილოეთ-დასავლეთისა და ვოლხოვის ფრონტების მებრძოლთ. ბევრი საჩუქარი იგზავნება ფრონტზე ჩვენი ქვეყნის სხვა ოლქებიდან, მხარეებიდან და რესპუბლიკებიდანაც. (საკდესი).

ნოვოსიბირსკელთა საჩუქრების ეშელონი

ნოვოსიბირსკის მშრომელები საჩუქრების ათასობით ამანათებს უმზადებენ ფრონტელებს ოქტომბრის დღესასწაულისათვის. ერთი კვირის შემდეგ ეშელონი წითელი არმიის მეომრებს წაუღებს 20 ტონა კარაქსა და ყველს, 12 ტონა ძეხვს, 14 ტონა შოკოლადსა და კანფეტს, 10 ტონა ნაზუქს, 4 ტონა თამბაქოს, 4 ტონა საპონს, 10.000 ლიტრ არაყს.

გასაგზავნად დამზადებულია რამდენიმე ტონა კიტრის წნილი, ბევრი პომიდორი და კომპოსტო.

ფართოდ გაჩაღდა საჩუქრების შეგროვება საკოლმეურნეო სოფლებშიც. (საკდესი).

ახალი გამოფენა სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმში

მოსკოვში, სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „დიდი სამამულო ომი". ფოტოსურათები, სურათები და დოკუმენტები ასახავენ ამ უკანასკნელი 14 თვის ამბებს. ბევრი ფოტოსურათი გადაღებულია ფრონტის მოწინავე ხაზზე.

გამოფენაზე არის ტყვე გერმანელებისაგან ჩამორთმეული ნივთები, რომლებიც ახასიათებენ ჰიტლერის არმიის მორალურ სახეს: დახატული ბანქო, ანეგდოტების კრებული, ქეიფობა-ლოთობის ფოტოსურათები, გერმანიაში გაგზავნილი და ზურგიდან ნათესავებისაგან მიღებული წერილების დედნები. გამოფენილია განთავისუფლებულ რაიონებში ნაპოვნი ნადავლი იარაღი, გერმანელ ხელისუფალთა ბრძანებანი და განკარგულებანი. (საკდესი).

სრულიად-საკავშირო შეჯიბრება საჰაერო-ქიმიურ თავდაცვაში

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა 1 ოქტომბრიდან 1943 წლის 1 იანვრამდე მოაწყოს შეჯიბრება საჰაერო და ქიმიურ თავდაცვაში. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის საცხოვრებელი სახლების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების თავდაცვა-ავიაქიმის ძირეული ორგანიზაციები.

თავდაცვა-ავიაქიმის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ორგანიზაციები, რომლებიც შეჯიბრებაში პირველობას მოიპოვებენ, დაჯილდოებულ იქნებიან თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით. (საკდესი).

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1539207, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის მიერ მელო გაბრიელის-ასულ **ოქრუაშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1540895, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მიერ კასიანე ლუკას-ძე **ბაქანიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2841836, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მიერ ლუკა ბეჟანის-ძე **იმედაიშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის (ხარაგოული) რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1532137, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მიერ გერვასი ბესარიონის-ძე **ფურცელაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომი აცხადებს, რომ საქ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 3086098, გაცემული წალენჯიხის რაიკომის მიერ მიხეილ დიმიტრის-ძე **შელიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

8 ოქტომბერს, საღ. 7 საათსა და 30 წუთზე კონსერვატორიის ახალ დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 8) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორის ამხ. **დმიტრიევის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები".**

ბილეთების შეძენა შეიძლება კონსერვატორიის სალაროში (გრიბოედოვის ქ. № 8) დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე და საქალაქო აგიტპუნქტის შენობაში (ლენინის ქ. № 41) იმავე საათებში.

„აბესალომ და ეთერი"

ახალი დადგმა

ოქტომბრის დამლევს თბილისის **საოპერო** თეატრი მაყურებელს უჩვენებს სეზონის პირველ პრემიერას—ზ. ფალიაშვილის კლასიკურ ოპერას „აბესალომ და ეთერი". ოპერა დაიდგმება ახალი სცენიური რედაქციით. აღდგენილი იქნება პირვანდელი მუსიკალური რედაქცია, გამოტოვებული სურათი (სცენა დედამთილთან) და სხვ. ახალი დადგმით ოპერა შესდგება 4 მოქმედებისა და 6 სურათისაგან.

ოპერას სდგამს რეჟისორი მ. კვალიაშვილი, დირიჟორობს გ. კილაძე, მხატვრობა ნ. ყაზბეგისა, ცეკვებს დასდგამს დ. ჯავრიშვილი. მთავარ როლებს შეასრულებენ: ე. სოხაძე, ე. გოსტენინა, ტ. ლაფიაშვილი (ეთერი), გ. ხიჯაკაძე, ა. სტეფანიანი (ნათელა), ნ. ხარაძე, ი. ფალიაშვილი (მარიხი), დ. ანდღულაძე, ნ. ბელაკნელი (აბესალომი), პ. ამირანაშვილი, გ. ყიფიანი, დ. გამრეკელი (მურმანი), გ. გრიგორაშვილი, გ. გოგიჩაძე (აბიო).

თეატრებში

9 ოქტომბერს: სახოპერა — „მეფის საცოლე". **რუსთაველის სახელობის** — „ოტელო". **მარჯანიშვილის სახელობის** — „მეფე ერეკლე". **გრიბოედოვის სახელობის** — „ინჟინერი სერგეევი". **სომხური თეატრი** — „აღმოსავლეთის დანტისტი". **ახუნდოვის სახელობის** —„გულშან ანა". **მუსიკალური კომედიის** — „არშინ-მალ-ალან". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—„რომეო და ჯულიეტა". **მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი** — „გაუზრდელი". **მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი** — „ცოცხალთა დღე".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი და სპარტაკი — „ალექსანდრე პარხომენკო". **დამკვრელი** — „მე დავბრუნდები", **კომკავშირელი** — „მეგობრები". **ლუქსემბურგის სახ.** — „მასკარადი". **კომინტერნი** — „გიორგი სააკაძე". **მეცნიერება და ცოდნა**—„ალმასების ხეობა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის უნივერმაღი აცხადებს,

რომ თავისი სამკერვალო და ფეხსაცმლის სახელოსნოებისათვის მას სჭირდება მკერავები და ხელოსნები — როგორც შინა მომუშავენი, ისე სახელოსნოებში.

პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: ეორესის ქ. № 7, ოთახი № 13, კადრების განყოფილება. ტელეფონი № 3—31—49, დილის 9-დან საღამოს 5½ საათამდე.

2—2

დირექცია

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 9802